

# Future English

---

## Online teacher Community Georgia

მასწავლებელთა ონლაინ საზოგადოება -  
საქართველო

ინფორმაცია პროექტის შესახებ



## **რას წარმოადგენს მასწავლებელთა ონლაინ საზოგადოება?**

მასწავლებელთა ონლაინ საზოგადოება არის ბრიტანეთის საბჭოს ახალი ონლაინ პლატფორმა ინგლისური ენის პედაგოგებისთვის, რომელიც მათ აძლევს მსგავსი პრაქტიკის მქონე კოლეგებთან პროფესიული კავშირების დამყარების შესაძლებლობას, წვდომას ფორუმებზე, რესურსებზე, ვებინარებზე და ხელს უწყობს ონლაინ რეჟიმში მასწავლებლების რეგულარულ ჩართვას ახალი იდეების გაზიარებისა და შესაბამისი დისკუსიების პროცესში, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებაში, პრაქტიკის გაღრმავებასა და კვლევაში.

საქართველოში ამ ინიციატივამ განსაკუთრებული პროექტის სახე მიიღო, რომელსაც ბრიტანეთის საბჭო საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან ერთად განახორციელებს. ერთობლივი ძალისხმევით 18 თვის განმავლობაში პარტნიორები პილოტირებას გაუწევენ მასწავლებელთა ონლაინ საზოგადოების მოდელს ინგლისური ენის 6500 მასწავლებლისათვის. ეს შესაძლებლობას მოგვცემს არა მხოლოდ გამოვცადოთ უწყვეტი პროფესიული განვითარების მხარდაჭერის ახალი სისტემები ქართულ რეალობაში, არამედ მოხდეს მასწავლებელთა ონლაინ საზოგადოების პლატფორმის მოდელის წარმატებული ელემენტების და მახასიათებლების ინტეგრირება "განათლების e-სახლის" ერთიანი ეროვნული პლატფორმის სტრუქტურაში, რომელიც შეიქმნება ყველა საგნის პედაგოგისათვის.

მასწავლებელთა ონლაინ საზოგადოების მუშაობის წარმატება დამოკიდებულია პროექტში ჩართული ყველა დაინტერესებული მხარის, მასწავლებელთა ჯგუფის, მათი ფასილიტატორების, და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ხელმძღვანელობის ეფექტურ ურთიერთთანამშრომლობაზე, მათ მაქსიმალურ აქტიურობაზე, რათა საფუძვლიანად იქნას მათ მიერ გააზრებული პროცესები, მიზნები და მიიღონ სარგებელი.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი ბრიტანეთის საბჭოსთან ერთად გეგმავს ამ პროექტის ფარგლებში შექმნას პროფესიონალ ფასილიტატორთა გუნდი, რომელიც არა მარტო ამ პროექტის ფარგლებში უზრუნველყოფს ონლაინ საზოგადოების აქტიურ და ეფექტურ მუშაობას, არამედ შეძლებს აქტიურად ჩაერთოს პროექტის შემდგომ ინგლისური ენის მასწავლებელთა ონლაინ უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობის პროცესში, მსგავსი პროფესიული პრაქტიკის სამუშაო ჯგუფების მუშაობაში, რაც უზრუნველყოფს ქვეყნის მასშტაბით მასწავლებელთა ურთიერთთანამშრომლობის კულტურის ზრდას.

## **როგორ იმუშავებს მასწავლებელთა ონლაინ საზოგადოების მოდელი?**

ინგლისური ენის მასწავლებლები დარეგისტრირდებიან ონლაინ საზოგადოების პლატფორმაზე, რომელიც აერთიანებს სხვა ქვეყნების მასწავლებელთა ჯგუფებსაც. შეიქმნება საქართველოს ერთიანი ჯგუფი და ასევე ოთხმოცამდე ქვე-ჯგუფი საქართველოში არსებული საგანმანათლებლო რესურს ცენტრების მიხედვით, რომელშიც დარეგისტრირდებიან პედაგოგები; მოხდება მთელი საქართველოს მასშტაბით 160 ფასილიტატორის შერჩევა საკონკურსო წესით, რომლებიც მიმაგრებული იქნებიან რესურს ცენტრების მიხედვით შექმნილ ქვეჯგუფებს ონლაინ საზოგადოების პლატფორმაზე. მასწავლებლების მუშაობას პლატფორმაზე 18 თვის განმავლობაში გაუძღვებიან ფასილიტატორები, ერთ ჯგუფზე ორი ფასილიტატორი.

შერჩეულ ფასილიტატორებს ჩაუტარდებათ ტრენინგები, რომელთა შედეგადაც ისინი მომზადდებიან მასწავლებელთა ონლაინ საზოგადოების საკუთარ ჯგუფებში ფასილიტაციისათვის. ამის შემდეგ, ფასილიტატორების მუშაობას 3 თვის განმავლობაში დააკვირდებიან ბრიტანეთის საბჭოს გლობალური მოდერატორები.

**მასწავლებლებს შეუძლიათ ურთიერთთანამშრომლობა სხვადასხვა დონეზე:**

- ძირითად ჯგუფებში, მათ მუნიციპალიტეტში მომუშავე კოლეგებთან, ადგილობრივ დონეზე.
- ქვეყნის მასშტაბით, სპეციალურად მათი საჭიროებებისთვის შექმნილ (საქართველოს) ჯგუფში ფორუმებისა და ვებინარების მეშვეობით, სხვა მუნიციპალიტეტებში და რაიონებში მომუშავე პედაგოგებთან.
- საერთაშორისო დონეზე, პლატფორმაზე სპეციალურად შექმნილ ინტერესთა ჯგუფების საშუალებით, სადაც პედაგოგები სხვადასხვა ქვეყნებიდან გაერთიანდებიან კონკრეტული ინტერესების სფეროების, გამოცდილების და საკლასო პრაქტიკის გათვალისწინებით.

**პლატფორმაზე დარეგისტრირების შემდეგ მასწავლებლებს შეუძლიათ ჩაერთონ ისეთ აქტივობებში, როგორებიცაა:**

- მოდერატორის მიერ წარმართული ფორუმები (ფორუმების სადისკუსიო თემები შეირჩევა პედაგოგების საჭიროებებიდან გამომდინარე და პროგრამის ძირითადი თემებისა და საკითხების მიხედვით);
- ინგლისური ენის სწავლების ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების მიერ ჩატარებული ვებინარები (ბრიტანეთის საბჭოს ტრენინგები, სპეციალურად მოწვეული ბრიტანელი და ადგილობრივი მომხსენებლები);
- პირდაპირ ონლაინ რეჟიმში მიმდინარე სესიები და დისკუსიები;
- პირადი ელექტრონული პორტფოლიოების შექმნა;
- სანდო და ეფექტური პრაქტიკის კვლევები ინტერაქტიური სატრენინგო კურსის პარალელურად.

**როგორია პროექტის პარტნიორთა ჩართულობა?**

აღნიშნული პროგრამის წარმატება დამოკიდებულია პროგრამაში მონაწილე მასწავლებელთა ჯგუფებთან და სკოლის ხელმძღვანელობასთან ეფექტურ თანამშრომლობაზე, მათ ჩართულობაზე, რათა საფუძვლიანად იქნას გააზრებული პროცესები, მიზნები და სარგებელი. პროგრამის წარმატების საწინდარია ფასილიტატორების მიერ მასწავლებლებისათვის გაწეული მუდმივი და კვალიფიციური მხარდაჭერა.

პროექტის პარტნიორებისა და მასში ჩართული ყველა რგოლისათვის მოვალეობები და პასუხისმგებლობები მკაფიოდ არის გაწერილი.

**ბრიტანეთის საბჭო** ქმნის პროექტის „მასწავლებელთა ონლაინ საზოგადოება - საქართველო“ საკოორდინაციო ჯგუფს, რომელშიც შედიან: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის წარმომადგენლები, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სტანდარტების განვითარებისა და დანერგვის პროგრამის ხელმძღვანელი, ბრიტანეთის საბჭოს წარმომადგენლები და

მასწავლებელთა ონლაინ საზოგადოების ფასილიტატორები. საკოორდინაციო ჯგუფი პასუხისმგებელია პროექტის ადმინისტრირებაზე, შინაარსის, რესურსების, ინფორმაციის გაცვლასა და კომუნიკაციაზე.

ინგლისური ენის 6500 მასწავლებელს შესაძლებლობა ეძლევა დარეგისტრირდეს პლატფორმაზე საქართველოს ჯგუფში და შემდეგ, ისინი გადანაწილდებიან რესურსცენტრების მიხედვით შექმნილ ქვეჯგუფებში, რომელთა 18 თვიან მუშაობას გაუძღვნიან ფასილიტატორები, ერთ ჯგუფზე ორი ფასილიტატორი.

მასწავლებელთა რეგისტრაციის პროცესს პლატფორმაზე ორგანიზებას გაუწევს ბრიტანეთის საბჭო განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან ერთად საგანმანათლებლო რესურსცენტრების და სკოლის ადმინისტრაციის დახმარებით.

**საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო** განახორციელებს პროექტის კოორდინაციაზე პასუხისმგებელი პერსონალის დანიშვნას, რომელიც კოორდინაციას გაუწევს პროექტის აქტივობებს ბრიტანეთის საბჭოს საქართველოს ოფისთან თანამშრომლობით და მიიღებს მონაწილეობას პროექტის საკოორდინაციო ჯგუფის შეხვედრებში.

სამინისტრო ბენეფიციარების მოტივაციისა და აქტიური მონაწილეობის მიზნით მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან ერთობლივად უზრუნველყოფს მასწავლებლებისა და ფასილიტატორების მიერ მასწავლებელთა ონლაინ საზოგადოების პლატფორმაზე განხორციელებული საქმიანობის აღიარებას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ბაზაზე პროფესიული განვითარების ვალდებულებების ნაწილში. სწორედ სამინისტრო იქნება აქტიურად ჩართული პროექტის შედეგების და გავლენის მონიტორინგსა და შეფასებაში და განათლების სისტემაში საუკეთესო პრაქტიკის კასკადირების შესაძლებლობის განხილვაში, ასევე ქვეყანაში დაგეგმილი რეფორმების შესაბამისად, პროექტის შემდგომი მდგრადობის უზრუნველყოფაში.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სტანდარტების განვითარებისა და დანერგვის პროგრამის ხელმძღვანელი და სხვა პირები პროექტის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების წარმატებით განხორციელებაზე იზრუნებენ.

**განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის EMIS-ის** კონკრეტული თანამშრომლები და **საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელები** პასუხისმგებელი იქნებიან პროექტის სამუშაო ჯგუფსა და მონაწილე სკოლებს შორის ინფორმაციის ურთიერთგაცვლაზე, სწორედ რესურსცენტრებმა უნდა უზრუნველყონ საქართველოში არსებულ ყველა საჯარო სკოლის ხელმძღვანელობასთან პროექტის მიზნების და სასარგებლო შედეგების ეფექტური კომუნიკაცია

**ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექციამ** უნდა მიაწოდოს ინფორმაცია თავიანთი სკოლების ინგლისური ენის მასწავლებლებს პროექტის მიზნების და სასარგებლო შედეგების შესახებ. მათ უნდა უზრუნველყონ ბენეფიციარების მოტივაციისა და აქტიური მონაწილეობის ხელშეწყობა პროექტის საქმიანობებსა და ღონისძიებებში, მათ შორის მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ფარგლებში მასწავლებელთა ამ საქმიანობის სარგებელზე კომუნიკაციის საშუალებით, ასევე, დაეხმარონ პედაგოგებს პროფესიული განვითარების ხელსაყრელი პირობების შექმნაში მათი ძირითადი მოვალეობების პარალელურად.

## რა ძირითად ეტაპებს მოიცავს პროექტი?

18 თვის გამწვანებაში პროექტში დაგეგმილია შემდეგი აქტივობები:

1. ბრიტანეთის საბჭოს, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის პარტნიორობის ოფიციალური გაფორმება და პროექტის საკოორდინაციო ჯგუფის შექმნა (2021 წლის თებერვალი);
2. ონლაინ მასწავლებელთა საზოგადოების ფასილიტატორთა შერჩევა და ტრენინგი (2021 წლის მარტი-აპრილი);
3. პარტნიორული პროექტის ოფიციალური გახსნა-პრეზენტაცია (2021 მაისი);
4. ინგლისური ენის 6500 მასწავლებლის რეგისტრაცია “მასწავლებელთა ონლაინ საზოგადოება-საქართველო” პლატფორმაზე და მასწავლებელთა პლატფორმის გაცნობითი ონლაინ ტრენინგის ორგანიზება (2021 წლის მაისი);
5. რეგულარული აქტივობების ორგანიზება ონლაინ საზოგადოების პლატფორმაზე საპილოტე პროექტში ჩართული მასწავლებლებისთვის (2021 წლის მაისი-2022 წლის ოქტომბერი);
6. მასწავლებელთა ონლაინ საზოგადოების მუშაობის რეგულარული შეფასება, საპილოტე პროექტის მიღწევების დემონსტრირება შემაჯამებელი ღონისძიების ორგანიზების გზით (2022 წლის ოქტომბერი).

## რა შედეგების მიღწევას ვცდილობთ ონლაინ საზოგადოების შექმნით?

მასწავლებელთა ონლაინ საზოგადოების პლატფორმა, ინგლისური ენის მასწავლებელთა პროფესიული საზოგადოებების ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ჩამოყალიბების და დისტანციური სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხიანი მხარდაჭერის მხარედი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით შეიქმნა.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრთან თანამშრომლობით საქართველოში ინგლისური ენის 6 500 მასწავლებლის მიერ ონლაინ პროფესიული განვითარების შესაძლებლობებზე წვდომა ხელს შეუწყობს არა მხოლოდ მასწავლებლების რეგულარულ ონლაინ ჩართვას ახალი იდეების გაზიარებისა და შესაბამისი დისკუსიების პროცესში, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებაში, პრაქტიკის გაღრმავებასა და კვლევაში, არამედ, რაც მთავარია უზრუნველყოფს:

- უწყვეტი პროფესიული განვითარების მიკუთვნებულობის ჩამოყალიბებას მასწავლებლებში;
- უახლესი ტენდენციების და ინგლისური ენის სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიის შესახებ ცნობიერების ამაღლებას;
- რეგულაციის უნარების განვითარებას საკლასო მუშაობის შეფასების მიზნით;
- საკლასო მუშაობისას ახალი კონცეფციების, მიდგომებისა და მეთოდების გამოყენების მოტივაციის გაზრდის ხელშეწყობას;
- შინაარსობრივი, სანდო და ეფექტური პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ჩატარების შესაძლებლობას;
- გაკვეთილის დაგეგმვისას მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომების შემუშავებას, რაც ეხმიანება „ახალი სკოლის მოდელს“;
- უფრო ხარისხიან სწავლა-სწავლებას.

პროექტის კონკრეტული, გრძელვადიანი და მდგრადი შედეგებია:

- მასწავლებლები მონაწილეობენ მსგავსი პრაქტიკის მქონე პროფესიონალთა გაერთიანებების მუშაობაში, საკუთარი პროფესიული განვითარების ხელშესაწყობად;
- პედაგოგები ერთვებიან თვითგანვითარების პროცესში და განკარგავენ საკუთარ უწყვეტ პროფესიულ განვითარებას;
- ონლაინ მასწავლებელთა საზოგადოების საქმიანობაში ჩართულობა უზრუნველყოფს სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარების ვალდებულების ხელშეწყობას, რაც განაპირობებს მათ კარიერულ წინსვლას და დაეხმარება საკუთარი პროფესიული განვითარების სტატუსის ამაღლების პროცესში;
- იქმნება და ვითარდება ფასილიტატორი მასწავლებლების გუნდი ქვეყნის მასშტაბით.

დამატებითი ინფორმაცია პროექტის შესახებ ხელმისაწვდომია ბრიტანეთის საბჭოს და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ვებგვერდებზე.

